



სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო
COUNCIL OF SIGHNAGHI MUNICIPALITY



განკარგულება:გ-55.552133735

თარიღი:03/12/2021

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება“

თავმჯდომარის მოადგილედ გიორგი ელაშვილის არჩევის ცნობად მიღების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 38-ე მუხლის, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 37-ე მუხლის, „სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის #გ-55.552133726 განკარგულებისა და „სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 16 ივნისის #14 დადგენილების საფუძველზე, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ცნობად იქნას მიღებული სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება“ თავმჯდომარის მოადგილედ გიორგი ელაშვილის არჩევა და მისი თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს 1200 ლარის ოდენობით.
2. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. ამ განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (ქ.სიღნაღი ც. დადიანის ქ.#15) განკარგულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ჯანიკაშვილი

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

